№ 3

მთავრობისა და ოფიციალური

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი ნელიწადი მეორე

ფასი 2 მან. კვირა, 4 იანვარი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რეს.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

სადღესასწაულო რეპერტუარი

კვირას, იანვრის 4-ს, დილით საღამოს ისეიკის ბენეფისი **ევგენი ონეგინი. სევილიელი დალაქი** და **გალეტი**

ორშაბათს, იანვრის 5-ს, საღამოს **„აბესალომ და ეთერი“**. ხუთშაბათს, იანვრის 8-ს, დილით **ქართული საბავშვო წარმოდგენა**. საღამოს ეზროვის 20 წლის იუბილეი **„პიკის ქალი“**. პარასკევს, იანვრის 9-ს, დილით **„კარმენი“**. საღამოს **„ჰოფმანის ზღაპრები“**. შაბათს, იანვრის 10-ს, ოპერა მუშებისთვის **„ჯამბაზები“** და **ბალეტი**. კვირას დილით **„გენზელი“** და **„გრეიელი“**. საღამოს დირიჟორ კოროშონის ბენეფისი—**„დუბროვსკი“**. 317

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

გარგის გადატანა

მძიმე და მჩატე (25 ფუთიდან) საბარგო ავტომობილებზე. ოლლას ქ., № 29, ქალაქთა კავშირის სამექანიკო სახელოსნო. ტელ. 1—60. 292 6—4

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

განათლების სამინისტროს შტატის შეცვლისა და ჯამაგირის გადიდებისა.

1. საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის სექტემბრის 6-ს მიღებული განათლების სამინისტროს შტატისა და ხარჯთაღრიცხვისა (საქ. რეს. კან. კრ. 1918 წლ. კან. № 53) და აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო სკოლების ინსპექტორებისათვის არ ებული ჯამაგირის ნაცვლად დამტკიცებულ იქნეს ამა 1919 წლის ნოემბრის 1-დან ამ დეკრეტთან დართული შტატი და ხარჯთაღრიცხვა.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ საჭიროებისათვის გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად ერთი მილიონი შვიდას ერთი ათასი (1.701.000) მანეთი, ხოლო ამა 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე ცხრაას ოთხმოცდა თორმეტი ათას ორას ორმოცდა ათი (992.250) მანეთი.

შენიშვნა: ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატში აღნიშნულ თანამდებობის პირებზე არ იქნეს გავრცელებული ამა 1919 წლის მაისის 20-ს, აგვისტოს 2-ს და დეკემბრის 2-ს დეკრეტის მოქმედება.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წლის დეკემბრის 26-ს

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

შტატი და ხარჯთაღრიცხვა

განათლების სამინისტროსი.

№№ რიგზე.	თანამდებობანი.	თანამდ. რაოდენ.	თვითეულს. მან.		ყველას. მან.		შვიდი თვის.
			ოფიციალურ.	ადგილობრივ.	ოფიციალურ.	ადგილობრივ.	
1	დირექტორი	1	5000	60000	5000	60000	35000
2	მთავარი გამგე	3	5000	60000	15000	180000	105000
3	ვიცე დირექტორი	1	4500	54000	4500	54000	31500
4	ტანთვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი	1	4000	48000	4000	48000	28000
5	სახალხო სკოლების ინსპექტორი	12	3800	45600	45600	547200	319200
6	ტანთვარჯიშ. მთავარი ინსტრუქტ. თანაშემწე	1	3500	42000	3500	42000	24500
7	ხუროთმოძღვარი	1	3000	36000	3000	36000	21000
8	განყოფილებათა მდივანი	3	2500	30000	7500	90000	52500
9	საქმის მწარმოებელი	3	2000	24000	6000	72000	42000
10	ბუხჰალტერი	1	2500	30000	2500	30000	17500
11	თანაშემწე	1	2000	24000	2000	24000	14000
12	მორიგი მოხელე	1	1500	18000	1500	18000	10500
13	ეგზეკუტორი (ხაზინადარი)	1	1700	20400	1700	20400	11900
14	რეგისტრატურის გამგე	1	1500	18000	1500	18000	10500
15	რეგისტრატორი	1	1300	15600	1300	15600	9100
16	მანქანით გადამწერი	6	1300	15600	7800	93600	54600
17	დაბალი მოსამსახურე	6	1225	14700	7350	88200	51450
	ჯამი	44	—	—	119750	1437000	838250
	სხვა და სხვა საერთო ხარჯი.						
	საკანცელარიო	—	—	—	—	30000	—
	ტელეფონებისა	—	—	—	—	7200	—
	ტელეგრამებისა	—	—	—	—	7200	—
	ჟურნალ-გაზეთებისა	—	—	—	—	9600	—
	საგზაო	—	—	—	—	110000	—
	მინისტრის მიერ მოწვეულ სპეციალისტ. სასყიდელი	—	—	—	—	100000	—
	ჯამი	—	—	—	22000	264000	154000
	საერთო ჯამი წლიურად	—	—	—	—	—	1701000

აქედან საჭიროა 7 თვის განმავლობაში (1919 წლის იანვრის 1-დან 1920 წლის ივლისის 1-დე) 992250

1919 წ. დეკემბრის 26-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმეთა სამინისტროში

რესპუბლიკის ციხეების მოვლა.

რესპუბლიკის ციხეთა ინსპექტორი, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში იყო გამგზავრებული სამაზრო ციხეების დასათვალიერებლათ, უკვე დაბრუნდა და ვრცელი მოხსენება წარუდგინა ადმინისტრაციის ინსპექტორს ციხეების მდგომარეობის შესახებ. მრავალ ციხეში აღმოჩენილ იქმნა ზოგიერთი ნაკლულევანება, რის გამოც ციხეთა ინსპექტორს შემდეგი ზომები მიუღია: ავათმყოფი პატიმარი გადაყვანილ უნდა იქნეს ცალკე საკანში; საპყრობილეებს უკვე მიეცათ საჭირო ლეიბები, საბნები, საცვლები, ფეხსაცმელები, ფეხსახვევები და სხვა. მზადდება და სულ მოკლე ხანში გადაეგზავნებათ საპყრობილეებს აგრეთვე კასრები (ბოჭკები), გობები და სხვა. თავის მოხსენებაში ციხეთა ინსპექტორი საჭიროთ აღიარებს, აგრეთვე რათა მთავრობამ საჩქარო განკარგულება მოახდინოს, რომ დაარსდეს ტუსაღთა მიმომსვლელი ეტაფი, საპყრობილეებში არ იმყოფებოდეს ნორმაზე მეტი პატიმარი. მოეწყოს პატიმართათვის სახელოსნოები, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს სახელმწიფო ხაზინას.

მ. გვალიას დაპატიმრების გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზესტაფონიდან 27 დეკემბრის თარიღით შემდეგი დეპეშები მიიღო: ერობის თავმჯდომარე ბ-ნ. ბუაჩიძისაგან:

„შორაპნის ერობის გამგეობა აღშფოთებულია იმ უმგვანო პროვოკაციით, რომელსაც ეწევა გაზ. „ივერია“ № 38-ის მეთაურში. ნაციონალ-დემოკრატებისადმი ჩვენ მაზრაში არავითარ თვითნებობას და ძალადობას და რომელიმე პოლიტიკურ პარტიის წინააღმდეგ შეუფერებელ მოქმედებას ადგილი არ ჰქონებია და არც ექნება. ადგილობრივი გვარდია ყოველთვის და ეხლაც მოქმედებს მხოლოთ ადგილობრივ მმართველობის დავალებით. კერძოთ, მოქალაქე გვალია დაპატიმრებულია შინაგან საქმეთა მინისტრის 29 ნოემბრის ბრძანების დარღვევისათვის; მას აღმოაჩნდა 3 თოფი პატრონებით. ასეთივე შენაარსის დეპეშა მიიღო სამინისტრომ ბ. გვალიას დაპატიმრების გამო ზესტაფონის ქალაქის თავის ბ-ნ ჩხეიძისაგან.

ყაჩაღების დახოცვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდიდან დეპეშით აუწყებენ, რომ სოლოლის დროს დაჭრილ იქნა ცნობილი ყაჩაღი გოგია. დეკემბრის განმავლობაში მოკლულ იქნენ ცნობილი ყაჩაღები კვარაცხელია, მალაშხია და დარასელია; დაჭრილ იქნენ ვარლამ თოდია და მელიტონ თოდუა.

მილოცვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ახალქალაქიდან:

„კრებული ახალქალაქის ადმინისტრაციის თანადასწრებით ჯავახეთის ყველა საზოგადოებათა, სახელმწიფო დაწესებულებათა და გვარდიის წარმომადგენელთა გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ კვლავ იმ ენერგიით მუშაობას, როგორც აქამდის. გწამდეთ, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ იმ სოციალისტურ პრინციპებს, რომელიც თქვენ მიერ იქნება ჩვენდამი ნაკარნახევი.

მაზრის კომისარი გველესიანი.

თათბირი ზემო სვანეთის მდგომარეობის შესახებ.

31 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი სვანეთის მდგომარეობის გამოსარკვევათ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს: შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ბ-ნ ჭეჭინაძემ, ადმინისტრაციის ინსპექტორმა გეგელაშვილმა, ზემო სვანეთის კომისარმა გაბლიანმა, ლანჩხუთის ერობის თავმჯდომარემ მიქაიშვილმა და ლანჩხუთის ერობის გამგეობის ერთმბა წევრმა. თათბირზე შემუშავებულ იქმნა სხვა და სხვა ზომები საქმის მოსაგვარებლათ.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

აგრონომიულ ყრილობისთვის.

26 დეკემბერს აგრონომიულ ყრილობის მომწვევმა კომისიამ განიხილა ყრილობის რეგლამენტის საკითხი და დაადგინა უფრო დაწვრილებით გაეცნონ რეგლამენტს და შემდეგ ისე შეიმუშაონ.

სამეურნეო ჟურნალის გამოცემა.

საბოლოოთ გადაწყვეტილია სასოფლო სამეურნეო ჟურნ. „მეურნე“-ს გამოცემა ახლო მომავალში. ჟურნალი იქნება 48 გვერდიანი. რედაქტორათ მოწვეულია ი. ლომოური, თანამშრომლებათ—პროფ. ს. ავალიანი, ი. ქურდიანი, გ. რეხილაძე, დ. ბედევანიშვილი და ელ. კარბელაშვილი.

ყოფილ სამხედრო ტყვეთა მდგომარეობის გამოკვლევა.

მიწათ მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა საგანგებო საანკეტო ფურცლები ყოფილ სამხედრო ტყვეთათვის დასარიგებლათ. ამ საანკეტო ფურცლებში მრავალი საყურადღებო კითხვებია.

საგარეო საქ. სამინისტროში.

მილოცვების მიღება მთავრობის მიერ ახალ წელს.

1 იანვარს შუადღის 1 საათზე საგარეო საქმეთა სამინისტროში მთავრობა იღებდა მილოცვებს.

მთავრობას პირადათ მოულოცეს ახალი წელი მოკავშირეთა უმაღლესმა კომისარმა ამიერ-კავკასიაში და ამერიკის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ჰასკელმა თავისი თანაშემწეთი პოლკოვნ. დელით და ამერიკის მისიის განყოფილებათა უფროსებთან ერთად; ბ-ნ ოლივერ უორდროპის წასვლის გამო ბრიტანიის უმაღლესი კომისარის მოადგილემ ბ-ნმა მილიგან გრეიდმ, ინგლისის სამხედრო სამინისტროს სამხედრო ატაშემ მაიორ დეილმ, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსმა მაიორ დენონანკურმა ოფიცრებითურთ, იტალიის მისიის უფროსმა პოლკ. გაბბამ ადიუტანტებით, დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა სომხეთისა ლ. გ. ევანგულოვმა, ადერბეიჯანისამ—ვექილოვმა, საბერძნეთის—სტავრიდაკისმა, პოლონეთის—ოსტროვსკიმ, ფინეთის—ბირკვისტრმა, უკრაინის—კრასკოვსკიმ, ლიტვის და სხ. და აგრეთვე ამერიკის, იტალიის და სხვა სახელმწიფოთა კონსულებმა. მილოცვები მეგობრული ხასიათისა იყო. მილოცვების შემდეგ გაიმართა საუზმე.

საბერძნეთის ელჩი საქართველოში.

ბერძნულ გაზ. „ნეოლოლოს“-ის ცნობით, საბერძნეთის მთავრობამ თავის ელჩათ საქართველოში დანიშნა ბ-ნი პაპასი, რომელიც ამ დღეებში ათინიდან საქართველოში გამოემგზავრება.

პატარა შენიშვნები.

„ჩვენი გამარჯვება“.

გუშინ მოსკოვის რადიომ ერთი ბალშევიკური ცნობა გადმოგცა, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ანუ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებს, როგორც „უწყებიან ბალშევიკები. მოხდა ოჯანყებები ამ გუბერნიებში და ბევრ ალაგას ძალა-უფლება ჩვენ ჩავიგდეთ ხელშიო. ამ ცნობას სასიამოვნოდ ჰქონდა—„ჩვენი გამარჯვება“.

ამ ნოტის შემდეგ, რომელიც ჩვენმა მთავრობამ მიიღო მოსკოვის მთავრობისაგან დაპატიმრებული ბალშევიკების განთავისუფლების შესახებ, ეს ცნობა მეორე საბუთია იმის, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს ებრძვის.

ეომება საბჭოთა ბალშევიკური რუსეთი დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკას,

მაგრამ არ იცავს ომის კანონებს, ომის საერთაშორისო პრინციპ. ყველაფერი ეს, რა თქმა, უნდა ბალშევიკებისთვის ზედმეტი ბარგია. თუ მოსკოვის მართველთა კილოს გავარჩევთ დავინახავთ, რომ იქ საქართველოს შესახებ არაფერია ნათქვამი. აწყობენ ბალშევიკები აჯანყებებს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში და „იმარჯვებენ“—აი რასა სწერენ და რას ამბობენ.

როცა ორი სახელმწიფო ებრძვის ერთმანეთს, ბრძოლის დროს ორივე მებრძოლი მხარისთვის სავალდებულოა ერთგვარი წესი. იბრძვიან მხოლოდ რეგულიარული ჯარები. დანარჩენი მებრძოლი ჯგუფები თუ პირები ითვლებიან, ნემეცური სიტყვით რომ გამოვთქვათ, ბანდებათ ანუ ყაჩაღებათ და სხ. ასეთ პირთა შესახებ არავითარი ნორმა არ არსებობს. მათ ასამართლებენ ისე, როგორც მოისურვებენ.

აი ასეთ ბანდათ სთვლის საბჭოთა რუსეთი საქართველოს, როცა მას ათავსებს ორი გუბერნიის ფარგლებში. ეს ორი გუბერნია რუსეთის ნაწილს შეადგენდა. ახლა იქ რაღაც მთავრობა გაჩენილა. ებრძვიან ამ მთავრობას, ამ გამდგარ ხალხს, რუსეთის ბალშევიკები და... „იმარჯვებენ“. აი რას შეიცავს ბალშევიკური მსჯელობა თუ მოქმედება...

გულუბრყვილო მოქალაქე, უეჭველია, იკითხავს—რატომ საქართველოს ეძტერებიან აგრე ბალშევიკები იმ დროს, როცა მათ აღიარეს ბაშკირეთის დამოუკიდებლობა, როცა საზავო მოლაპარაკებას აწარმოებენ ესტონეთთანო და სხ.

აი რატომ: კარგათ იციან მოსკოვის ბალშევიკებმა, რომ ისინი ჩვენს მთავრობას ვერ მოატყუებენ. საქართველოს მთავრობამ კარგათ იცის ამ ხალხის ვერაგობა. ამიტომაა, რომ ამ საგანზე ისინი თავს არ იწუხებენ.

სულ სხვა პირობებია ბაშკირეთში. ბაშკირეთს თითქმის მისცეს ბალშევიკებმა დამოუკიდებლობა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს იქნება მხოლოდ ქაღალდზე. ცხოვრებაში კი, აი რა გატარდება: მოტყუებულმა ბაშკირეთმა საკმაო ჯარი მისცა ჯერ ჯერობით კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველათ ბალშევიკებს. საბჭოთა რუსეთიდან აღებულ სესხში ბაშკირეთი თვალსაჩინო კომპენსაციას გაიღებს და რაც უმთავრესია, ახალი და სხვა ხრიკებით საბჭოთა რუსეთი „კულტურულათ“ დაიპყრობს ბაშკირეთის, რაც ლენინის მოწონებული საშუალებაა.

დარჩება საწყალი ბაშკირეთი დამოუკიდებელი სახელათ, „სახრავათ“ კი, ის იქნება რუსის წითელი იმპერიალისტების ულუფად.

ასეთივე მიზანი აქვთ ბოლშევიკებს დასახული, როცა მოლაპარაკებას აწარმოებენ ესტონეთთან. უპირობენ საბრალო ესტონეთს „გაცურვებას“, და იურიევის თათბირიც ამ ნიადაგის მოსასინჯი საშუალებაა.

ბალშევიკურ არც ერთს ამგვარ ყალთაბანდობას, თაღლითობას ჩვენს მთავრობასთან გასავალი არ ექნება, მათ კარგათ იციან და ამიტომ საქართველოს მიმართ მათი მოქმედება სულ სხვაგვარია.

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ დამფუძნებელ კრებაში სთქვა: თუ ბალშევიკებმა დენიკინი დაამარცხეს, ჩვენს საზღვარზე არ გაჩერდებაო. გვახსოვდეს ეს: რუსი ბალშევიკებისათვის საზღვარი არ არსებობს. ისინი გაჩერდებიან მხოლოდ იქ, სადაც მათ ამარცხებენ.

ეს უნდა იგემონ მათ ჩვენს საზღვარზე ისე, როგორც ის იგემეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მოწყობილ აჯანყებების დროს.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ რუსი ბალშევიკები საქართველოს საზღვარზე არ გაჩერდებიან.

დამფუძნებელი კრება

30 დეკემბერის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლიმითაძე.**

ქრ. შარაშიძის ასულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა; 1) შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ რაზმის განგრძობის შესახებ სპეკულიაციისა, კონტრ რევოლიუციის და მძარცველების წინააღმდეგ საბრძოლველად, 2) და—ვარციხის ბამბულისათვის ყურძნის შესაძ ნათ გაწეული ხარჯის დასაფარავად 3,000000 მან. გადადების შესახებ.

ზ. გურულის და სვ. მდივნის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სამხედრო-საბეითლო საფრთხო სკოლისა, სამასწავლებლო სამეჯდურისა და გარნიზონის საბეითლო—სამკურნალოს დაარსებისა და დაწესებულებათა შესანახად 232145 მან. გადადების შესახებ.

გ. გაგლოევის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რკინის გზის შტატ-გარეშე დატოვებულ მოსამსახურეთა დახმარებისათვის გაწეულ ხარჯების დასაფარავათ 5,925000 მან. გადადების შესახებ.

ე. კალაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—საქართველოს სამხედრო გზის ჯვრის უღელტეხილის და გადასავალის მიმდინარე ზამთარში გასაწმენდათ 1,786,200 მან. გადადების შესახებ.

ი. ხალაყაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—მთავარ სამაჯო შენობის შესაკეთებლათ 109,877 მან. გადადების შესახებ.

გრ. ვეშაპელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სახელმწიფო კონტროლის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ლ. ნათაძის და **ი. ხალაყაიას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

დ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 1.500,000 მან. გადადებისა—ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მილიციის შესანახათ გაწეულ ხარჯების დასაფარავათ.

მსჯელობის გაგრძელება მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო.

თ. ლალიანტი თავის ვრცელ სიტყვაში უმთავრესად ეხება ეკონომიურ პოლიტიკას და ამბობს, რომ ჩვენმა მთავრობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოებრივ წარმოებას, ხელი შეუწყოს საკოოპერაციო ბანკებს, ხოლო კერძო ინიციატივაზე დაყრდნობა ზარალის მეტს არაფერს არ მოუტანს ჩვენს ქვეყანასო. დასასრულ ორატორი მოითხოვს, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა—ერობებმა, თემებმა—და ცენტრალურმა მთავრობამ ერთი მთლიანი პოლიტიკა უნდა აწარმოონ.

ფინ. და ვაჭრ. მრეწველობის მინისტრის ამხანაგს ბ-ნ ავალიანის პასუხი.

აქ ბ. ასათიანი შეეხო იმ ქაღალდს, რომელიც ჩემი ხელმოწერით მთავრობაში იყო წარგზავნილი და სთქვა, რომ თქვენს სამინისტროში თუ ასეა საქმე, მაშინ თქვენ სისხლის სამართალში ყოფილხართ მისაცემიაო. მე უნდა მოვახსენო ბ. ასათიანს, რომ ჩვენ არასოდეს არ ვმალ ვთ იმას, რაც უწყებაში ხდება. ასათიანმა მიგვითითა შრეიდერზე და აქ ვრცლათ წარმოგვიდგინა მისი დახასიათება. თუ ეს ყველაფერი იცოდა ბ. ასათიანმა სად იყო დღევანდლამდე? რათ არ შემოიარა სამინისტროში და არ გვითხრა ყველაფერი ეს, რომ ჩვენ სათანადო ზომები მიგვეღო?

ორატორი ეხება ჩვენში მრეწველობის და წარმოების განვითარების საკითხს და ამბობს: მთელი ჩვენი ყურადღება და ენერგია იქითკენაა მიმართული, რომ ჩვენში აყვავდეს წარმოება, მრეწველობა.

ჩვენ შემოვიღეთ აგრეთვე სავალიუტო საქონლებზე მონოპოლია. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თითქოს სახელმწიფომ სავსებით ხელში აიღო ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება. სახელმწიფოს ჯერ-ჯერობით არ შეუძლია სრულიად აღება ხელში ეკონომიური ცხოვრებისა, მაგრამ დადგება დრო, როცა ის ამას მოახერხებს და კიდევაც შესძლებს.

ჩვენ არ ვჩქარობთ, ჩვენ ავიღეთ სწორი ხაზი და ვმოქმედობთ ისე, როგორც ეს შეეფერება ობიეკტიურ პირობებს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენს ამ სწორ ხაზს ეღობებიან წინ, განსაკუთრებით გადაეღობენ ისინი, ვისაც აქ ბ. ასათიანი წარმოადგენს. ის ჯგუფი (მიუთითებს ნაც. დემ.) ჩვენ გვეუბნება, რომ სახელმწიფო თავისი მონოპოლიებით ებრძვის მრეწველებს და ამით ხელს უშლის ჩვენში წარმოება—მრეწველობის განვითარებასო. ეს სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენ მრეწველებს და მწარმოებლებს კი არ ვებრძვით, არამედ ჩვენ მონოპოლიით ვებრძვით ჩარჩებს, სპეკულიანტებს; ჩვენ ის ჯგუფი გვეუბნება, რომ მოგვეცით სამონოპოლიო საქონლები და მოგებიდან 25 პროცენტს მოგცემთ, ხოლო 75 პროცენტს თვითონ დავიტოვებთო. ეს არის, ბატონებო, მონოპოლია?—ჩვენ ასეთი მონოპოლიის არაფერი გვწამს. მაგრამ ამასთანავე ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ ვსპობთ კერძო ინიციატივას, პირიქით, მას ვიწვევთ სამოქმედოთ, მოლაპარაკების დროს მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს ინტერესები.

ჩვენ ჩაგვჩიჩინებენ მუდამ დღე, რომ თქვენ ღუპავთ წარმოებას, ანადგურებთ მასო, გაზეთი „ივერია“ აშკარათ ამბობდა ამ აზრს და მიგვითითებდა: ხედავთ, მონოპოლიის შემოღებით თამბაქო დაიღუპაო. ბატონებო, ამისთანა საშუალებით ბრძოლა არ შეიძლება. თქვენ უნდა იცოდეთ (მიმართავს ნაც. დემოკრატებს), რომ თამბაქოს კულტურა ხასიათდება თავისებურობით. თამბაქოს წარმოების დაცემა აიხსნება არა მონოპოლიის შემოღებით, არამედ ამ კულტურის თავისებურობით. აი წაიკითხეთ ეს ჟურნალი, (ხელში აიღებს ფრანგულ ჟურნალს), ადევნეთ თვალ-ყური ევროპის მეურნეობის მსვლელობის ხასიათს და დარწმუნდებით, რომ ჩვენში თამბაქოს წარმოების დაცემა სრულებით არ აიხსნება მონოპოლიის შემოღებათ. სურსათის, პურის მოთხოვნილება გაიზარდა, ხოლო თამბაქოს ღვინოს და სხვა ამ გვარი კულტურის მოთხოვნილება დაეცა. ეს ფაქტია და ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაუწიოთ თქვენ.

რომ ჩვენ ხელს არ უშლით კერძო ინიციატივას, რომ არ ვღუპავთ და ვანადგურებთ მრეწველობას, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჩვენ ერთი წლის განმავლობაში 20 სააქციონერო საზოგადოებას დავრთეთ ნება, თუმცა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საზოგადოებამ მრეწველობას არ მოჰკიდეს ხელი. უმრავლესობამ სპეკულიაციის წარმოება დაიწყო, ვინაიდან წარმოებას დიდი დრო და ლოდინი უნდა, ხოლო სპეკულიაცია უცბათ იძლევა მოგებას და მალე ამდიდრებს კაცს. (ალ. რამდენი ქარხანა დახურეთ?) ასე არ უნდა დააყენოთ საკითხი, არამედ აი ასე: რამდენი ქარხანა გაიხსნა?—გაიხსნა 7 ქარხანა, სადაც პაპიროსს ამზადებენ,—3,—სადაც წუმწუმას აკეთებენ.

ჩვენ ხშირათ გვეუბნებიან, რადგანაც სახელმწიფო ჩაერია აღებ-მიცემობის საქმეში საქონლის შემოტანა-გატანა განსაზღვრა ნებართვებით, ჩვენში ნაკლები საქონელი შემოდის და გადისო. მაგრამ ციფრები კი სულ სხვას გვეუბნება. ამ ციფრების თქმით შემოსული საქონლის რაოდენობა თანდათან იზრდება. მარტან იანვარში შემოვიდა 23 მილიონი მანეთის ღირებული, საქონელი, სექტემბერში 36 მილიონი მანეთის, სულ იანვრიდან სექტემბრამდე გატანილ იყო 311 მილიონი მანეთის ღირებულების საქონელი. აქედან თქვენ ხედავთ, რომ შემოტანილი საქონელის ღირებულება სჭარბობს გატანილს 319 მილიონი მან. მაგრამ ეს არ არის ჩვენი მიზეზით. ასეთივე პასიური სავაჭრო ბალანსი აქვს დღეს მთელს ევროპას. პასიური სავაჭრო ბალანსი დღეს საერთაშორისო მოვლენაა და გამოწვეულია 4 წლის ომიანობის გამო შექმნილ ეკონომიური წყობილებით. თქვენ კი (მიმართავს ოპოზიციის წარმომადგენლებს) საქართველოს პოლიტიკურ ეკონომიას გამოგლეჯთ საერთაშორისო პირობებიდან, მოაშორებთ მას ყველაფერს, ჩამოკიდებთ ჰაერში და ისე მსჯელობთ. ეს კი ყოვლად დაუშვებელია, თქვენ ვალდებულნი ხართ ანგარიში გაუწიოთ არსებულ პირობებს.

ზომებს ვღებულობთ, რათა არ გვექნეს შემდეგში პასიური სავაჭრო ბალანსი, ამისთვის კი საჭიროა ტრანსპორტის გაუმჯობესება და ჩვენი ყურადღებაც აქეთკენ არის მიპყრობილი.

ვცდილობთ ვალიუტის შეძენას. უწყებების მთავარი ენერგია ამისკენაა მიმართული. რაც შეეხება ეკონომიურ და ფინანსიურ გეგმას, ჩვენ ასეთი გეგმა გვაქვს ეს გეგმა გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს მონაწილეობა შინაურ და საგარეო ვაჭრობა-მრეწველობაში, ამ გეგმის დანახვა ყველას შეეძლო, ვინც კი ამას მოისურვებდა. აი ბატონებო, გადაიკითხეთ ეს (ხელში იღებს საქართველოს კანონთა კრებულს), გადაფურცლეთ ის და შიგ იპოვით ყველაფერს ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკის შესახებ. აი აქ (უჩვენებს წიგნში) მკაფიოთ, შავით თეთრზე არის ეს გეგმა დაწერილი, მაგრამ თქვენ დაბეჭდვით კი არა ალმაზებით, რომ ჩამოგისხათ, მაინც თქვენ თქვენსას გაიძახოდეთ იქნება. (ტაში)

გრ. ვეშაპელი (ნაციონალისტი). აღნიშნავს, რომ ჯარის რეორგანიზაცია არ დამთავრებულა, როგორც ეს მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა. ჯარის რეორგანიზაცია ახლაც სწარმოებს და სამხედრო სამინისტროს ახლა მეტი საქმეები აქვს ვინემ წინეთ, როცა რამიშვილის მაგარი ხელი იყო საჭირო თავმჯდომარის თქმით. წინეთ, როცა მთავრობის შედგენა მივანდეთ ჩვენ ნ. ჟორდანიას—ამბობს ორატორი—მან შეამოკლა სამინისტროთა რიცხვი იმ მოსაზრებით, რომ საქმეები გამარტივდებაო, მაგრამ, როგორც გამოირკვა, საჭირო შეიქნა წინანდელი აზრის უარყოფა და აი ახლა დაარსდა ახალი სამინისტროები. რაც შეეხება მომარაგების სამინისტროს ორგანიზაციას და ისიც შრომის სამინისტროსთან, მე ეს შეუფერებლათ მიმაჩნია. ბ. ერაძე სავსებით უნდება შრომის სამინისტროს, მის განცხადებით მას ბევრი საქმეები აქვს და კიდევ ახალი სამინისტროს მიმატება არ იქნება მიზანშეწონილი. იუსტიციის სამინისტროს, როგორც აქ განაცხადეს ევალება კანონების კოდიფიკაცია, ყველა არსებული კანონების გადასინჯვა და აწყობა—ეს მეტი ლოიალურობის საქმე უნდა იყოს. ამ საქმისათვის კი ახალი მინისტრი ჩინებული იქნება.

მთავრობის თავმჯდომარის საპასუხო სიტყვას შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

ერობა.

ტფილისის სამაზრო ერობაში.

ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ განუცხადა მოსამსახურეთა პროფ. კავშირის წარმომადგენლებს, რომ მათი მოთხოვნილება ჯამაგირის 60% მომატების შესახებ არ იქნება დაკმაყოფილებული; გამგეობა თანახმაა 40% მომატების, როგორც ეს სატარიფო პალატამ დაადგინა, ხოლო შუამდგომლობა 60% მომატების შესახებ გადაეცემა განსახილველად საგანგებო კომისიას, რომელშიც შევლენ ორ ორი წარმომადგენლები, როგორც ერობის ისე პროფ. კავშირის გამგეობებისაგან.

—

ტფილისის სამაზრო ერობის სააგრონომიო და საბეითლო განყოფილების გამგემ ლ. მამულაშვილმა თანამდებობას თავი დაანება, მისი მოვალეობის აღსრულება დაეკისრებათ გამგეობის სხვა წევრებს.

გორის სამაზრო ერობაში.

გორის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა თავის ხარჯზე დაიქირაოს მასწავლებლები რუსის, მეჯვრისხევის და ცხინვალის საქსოვ შკოლებისათვის. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე განემარტოს სომხურ ეროვნულ საბჭოს, რომელიც სოფ. ვაყაში შკოლის გახსნას აპირებს, რომ ერობისაგან ნებადაურთველად სკოლის გახსნა არ შეიძლება.

საერობო ტეხნიკოსთა ყრილობა.

ერობათა კავშირის კომიტეტმა დაადგინა თებერვლის პირველ რიცხვებში მოიწვიოს ყრილობა საერობო ტეხნიკოსების, რისთვისაც დაეგზავნა ყველა სამაზრო ერობებს საპასუხოთ წერილები შემდეგი შინაარსის:

შემადგენლობა, ცენზი და პირობები მუშაობისა ტეხნიკურ პერსონალის. თავისუფალი ადგილები.

საგზაო საქმე, საერთო მდგომარეობა გზების, მუშაობა გასაკეთებლად, ღონისძიებანი მუშაობის წარმოებისა.

წყლების საქმე, მდგომარეობა წყლის მეურნეობის, წყლით უზრუნველყოფა და მოთხოვნილება მელიორაციის, წესრიგი წყლით სარგებლობის ნებართვის გაცემისა.

ერობათა აღშენებლობა, საერობო დაწესებულებანი, რიცხვი და ხარისხი დაწესებულებების, ტეხნიკური მდგომარეობა და, კომერციული მხარე, საშუალებები საინფორმაციო, ტეხნიკური განათლება.

უცხოეთში

მოხსენებანი საქართველოს შესახებ

დეკემბრის პირველ რიცხვებში ქ. რომში ფილოსოფიურ წრის სხდომაზე პროფესორმა ნოკაროზემ მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკასიაში 4 თვის განმავლობაში ყოფნის შესახებ.

წრის თავმჯდომარე, გამოჩენილი გეოგრაფი პროფესორი რიკიერი მცირე წინასიტყვაობის შემდეგ წრის სახელით ქართველ ხალხს მიესალმა. შემდეგ პროფეს. ნოკაროზესი დაწვრილებით შეეხო საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო დიდ ნაკლულევანებას განიცდის პირველ საჭიროების საგნებისას მაშინ, როდესაც ნედლი მასალა მასში დიდძალი მოიპოებაო.

დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

გერმანული პრესა.

მიუხედავათ 3 ნოემბრის დადგენილებისა საზღვარ გარეთ დოკების გაყიდვის აკრძალვის შესახებ უკვე დიდი ხანია რაც გაყიდულია დოკები, რომლებიც დიდი სამხედრო გემების ასაშენებლათ იყო მოწყობილი და ეს იმიტომ მოხდა, რომ საზავო ხელშეკრულების ძალით გერმანიას სამხედრო გემების აშენების უფლება აღარა აქვს.

ბარო ფონ-ეკარდშტეინმა, რომელიც ლონდონში მყოფ გერმანიის საელჩოს მრჩევლათ იყო, გამოსცა თავის ნაწერების მეორე ტომი. ეკარდშტეინს პირველი ადგილი ეჭირა 1899 წელს ჩემბერლინის მიერ ინგლის-გერმანიის კავშირის შესახებ წარმოდგენილ პროექტის გარჩევასა და მოლაპარაკებაში. ომის დროს ბარონი დაჭერილი იყო. უნდოდათ მისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიელოთ ის საბუთები, რომლებიც მან ეხლა გამოსცა.

ამსტერდამში ბოენოს-აირესიდან გემით ჩამოვიდა 212 გერმანელი სამხედრო ტყვე.

ფრანგული პრესა.

ვაშინგტონში მყოფ შრომის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი ფრანგი დელეგატები 18 დღის მძიმე მოგზაურობის შემდეგ ოთხშაბათს გაგრაში მოვიდნენ. პატრონატის წარმომადგენელმა გენერმა კონფერენციის შედეგების შესახებ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: "ეს უმთავრესად კამათი უფრო იყო, ვიდრე კონფერენცია, რომელმაც ერთგვარი გადაწყვეტილებანი უნდა გამოიტანოს, რადგანაც მას კანონმდებლობითი უფლება არა აქვს, საზავო ხელშეკრულების 405 მუხ. ძალით ჩვენ წინადადებებს სათათბირო ხასიათი აქვს. ის ერები, რომლებიც კონფერენციაზე არის წარმოდგენილი, ამ წინადადებებს თავის თვალსაზრისით გაეცნობიან, ჩვენ კმაყოფილებას ვგრძნობთ, რომ კონფერენციაზე ერთი მეორეს შევხვდით და ურთერთს შორის დავიჭირეთ დამოკიდებულება, რომელიც მომავალში უფრო გაძლიერდება... (დამახანჯებულია)... მუშათა დელეგაციის თავმჯდომარე კმაყოფილია კონფერენციის მუშაობით. ვაშინგტონის კონფერენციამ მოგვცა შედეგები, რომლის ღირებულების უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. ეს პირველი აქტია ხალხთა შორის ახალი კავშირის დაარსებისა. მართალია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ჯერ არ მიგვიღწევია, რადგანაც კონფერენციას საკანონმდებლო უფლება არ ჰქონია, მაგრამ ცხარე კამათის შემდეგ მიღებული რეზოლიუციები 8 საათის სამუშაოს დღისა და ბავშვების მუშაობის შესახებ, პირველი ნაბიჯია მუშათა საკითხის საერთაშორისო გადაწყვეტისა.

ეხლა შესაძლებელია, რომ იურდიული გზით ვიმოქმედოთ იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც იქ მიღებულ რეზოლიუციებს სისრულეში არ მოიყვანს. საქმის დასაგვირგვინებლათ საჭირო არის, რომ შრომის საერთაშორისო ტრიბუნალს მიენიჭოს სათანადო იურიუდიული უფლება. მაგრამ ეს არის საქმე მუშათა ორგანიზაციებისა, რომლებიც ამის განსახორციელებლად უნდა სცდილობდენ. შრომის ინტერესები მთელ დედამიწაზე ერთგვარიაო".

იტყობინებიან პარიზში მალე ჩამოვა რუმინეთის მეორე დელეგატი თ დი რანტაკუზენი რატიფიკაციის ოქმების გასაცვლელად.

31 დეკ. გამოსული ბერლინის საღამოს გაზეთები აღნიშნავენ რა 6 იანვარს, როგორც უკანასკნელ ვადას რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლისას, ამბობენ, რომ საფრანგეთი გერმანიისადმი ერთგვარ დათმობას იჩენსო.

„ბერლინერ ტაგებლატი" არჩევს საკითხს პარიზში გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლობის შესახებ. ფიქრობენ იქ თავისი ელჩის დანიშვნას, მაგრამ რადგანაც საფრანგეთი ბერლინში წარმოდგენილია თავისი რწმუნებულის სახით, გერმანიას შეუძლია საფრანგეთის მაგალითს მიბაძოს. პარიზში ელჩის დანიშვნა მდგომარეობას გააძნელებსო.

მუნიციპალური ცხოვრება.

სიღნაღის ქალაქის თვითმართველობაში.

17 დეკემბრის კრებაზე ხმოსანთა საბჭომ დაადგინა:

აბონენტებს დახარჯული წყლის ფასი მოემატოს ვედრაზე 5 კაპეიკი, ყოველ თვიურათ წყალსადენზე გაწეულ ზედმეტ ხარჯების დასაფარავად.

კრებამ ერთხმათ მიიღო გამგეობის მიერ შემუშავებული ნიხრი:

ძროხის ხორცი გირვანქა 10 მან.; მამალი ცხვრის ხორცი—14 მ.; დედალი ცხვრის ხორცი—12 მ.; კამეჩის ხორცი—8 მ.; მამალი თხის ხორცი—12 მ., დედალი თხის ხორცი—10 მ.; ცხვრის დუმა—25 მ.; ღორის ხორცი გატყავებული ქონით—12 მ.; ღორის ხორცი გატყავებული ქონ გადაღებული—11 მ.; ღორის ხორცი გაფუფქული—13 მ.; ბურვაკი გაფუფქული—14 მ.; ღორის ქონი ნაფერდალი 18 მ.; ღორის ქონი წელისა—16 მ.

ყოველ სასწავლებელში დაარსოს ას მოწაფეზე ერთი სტიპენდია. ქართველთა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში სტიპენდია მიეცემა ხუთს, დაბალ დაწყებითი სასწავლებელში ერთს, სომეხთა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში, პირველ დაწყებითი სასწავლებელში და გიმნაზიაში თითოს.

დასასრულ კრებამ დაადგინა ქალაქი განთავისუფლებული იქნას ყოფილი ქ. თავის ს. ჯაზბეგის აღებული 8000 მ. ვალიდან.

ქალაქის თვითმართველობაში.

გაერთვნებისათვის.

ქალაქის გამგეობამ ქართული ენის უცოდინარობის გამო სამსახურიდან დაითხოვა რამოდენიმე მოხელე, რადგან 1 იანვრიდან ნაციონალიზაცია დაიწყო ქალაქის თვითმართველობის წარმოების საქმეებში.

დახმარება უმუშევრებს.

ქალაქის შრომისა და სოციალურ დახმარების გამგემ მოხსენება გაუკეთა გამგეობას ქალაქის უმუშევართათვის ნივთიერი დახმარების შესახებ, გამგეობამ დაადგინა გამოითხოვოს ნებართვა საბჭოსაგან, რათა უმუშევრებს მიეცეს ქალაქის იაფ-ფასიან საჩაიედან ჰური, ჩაი და შაქარი 3831 მანეთისა.

წარმომადგენლის დანიშვნა.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა: გამგეობის წევრი გ. შოთაძე დაინიშნოს წარმომადგენლათ ქალაქის თვითმართველობისაგან გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის მმართველობაში, რომელიც დაესწრება სხდომებს, საჯაროო გადასახადის განხილვის დროს.

საკანდიტეროებში ტკბილეულობის აკრძალვა.

უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის გამგეობის მიერ მოსმენილ იქნა მოხსენება გამგეობის წევრ მაჭავარიანისა ქალაქის საკანდიტეროებში ტკბილეული ნამცხვრების აკრალვის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: 1) ცნობილ იქნას საჭიროდ აიკრძალოს მზადება და გაყიდვა სხვა და სხვა გვარ საკანდიტრო ნამცხვრებისა ფქვილისაგან გარდა არა ტკბილ ფრანგულ პურისა.

2) ვინაიდან ამ ზომას აქვს საზოგადო სახელმწიფოებრივი დანიშნულება. ეცნობოს ეს გადაწყვეტილება მომარაგების სამინისტროს ამის შესახებ ადგილობრივ სავალდებულო დადგენილების გამოუცემლად.

გორის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა.

გორის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ტფილისის ქალაქის გამგეობის წინაშე ერთი მილიონი მანეთის სესხად მიცემის შესახებ—ხორბლეულობის დასამზადებლად—ქალაქის გამგეობამ თხოვნა თავისუფალ თანხის უქონლობის გამო ვერ შეიწყნარა.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების სხდომაზე 1920 წლის 14 იანვარს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1. საჩივარი ტფილ. ქალ. გამგეობის რწმუნებულის ნაფ. ვექ. ამირხანოვისა ტფილ. ოლქის სასამართლოს საადმ. განყ. 1918 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ტფ. ქალ. გამგეობის 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილება შესახებ ლეონტი ევანგულოვის, ფრიდონოვისა და ამბარდანოვის მიწის ნაწილის რეკვიზიციისა.

2. საჩივარი ტფ. ქალ. გამგეობის რწმუნებულის ნაფ. ვექილის ამირხანოვისა ტფ. ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ტფილ. ქალ. გამგეობის 1918 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება შესახებ ფეიგი იანკელის ასულის ვინერსკაიას გაძევებისა გრიბოედოვის ქუჩ., № 13, სახლიდან.

3. საჩივარი ტფ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის რწმუნებულის ბაბუშკინისა და ტფილისის ქალაქის გამგეობის რწმუნებულის ნაფ. ვექ. ამირხანოვისა ტფ. ოლქის სასამართლოს საადმ. განყ. 1918 წლ. 1 მარტის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ტფილისის საგუბერნიო და ქალაქის სასურსათო კომიტეტების დადგენილება—შესახებ დოროჟნოვის მალაზიის რეკვიზიციისა.

4. საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობის რწმუნებულის ნაფ. ვექ. ამირხანოვისა ტფ. ოლქის სასამართლოს საადმ. განყ. 1918 წ. 7 აპრილის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ტფილ. ქალაქის გამგეობის განკარგულება შესახებ ათანასი გრინევის ბინის რეკვიზიციისა თადეოზ კამალოვისათვის.

5. საჩივარი ტფ. ქალაქის გამგეობის რწმ. ნაფ. ვექილის გეფშტეინისა ტფ. ოლქის სასამართლოს საადმ. განყ. 1918 წ. 26 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალაქ ტფილისის გამგეობის 1918 წ. 3 ივლისის დადგენილება შესახებ მელიქაზარიანცის სახლში რადომსკის ბინის რეკვიზიციისა დანდუროვისათვის.

მუშათა კავშირებში.

ბეჭდვითი სიტყვის პროფ. კავშირში.

ბეჭდვითი სიტყვის პროფ. კავშირის გამგეობამ დაამტკიცა ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი. ამ პროექტის თანახმათ მუშა გაზეთზე მომუშავე ვალდებულია აიწყოს 7,000 კორპუსის ანბანი და გადაარჩიოს პირველი კორექტორის გასწორებით. ჰეტიტის სტრიქონისათვის ეს ნორმა დაკლებულია 10%-ით. მეტრანპეტისა და მოწაფისათვის ნორმა არ არსებობს. ასოების ჩამომსხმელ მანქანაზე მომუშავეთა ნორმა განისაზღვრება 650 სტრიქონით, მბეჭდავებისათვის დაწესებულია საათში ათასი „ოტისკი". სალიკვიდაციოს მიღების შესახებ კანონი იგივე არის იმ პირთათვის, რომლების შტატში ირიცხებოდენ 1 იანვრამდე 1920 წლის. ე. ი. სამა თვის ჯამაგირის მიცემა. ეს სალიკვიდაციო მიეცემა მუშებს, რომელებიც საწარმოო დარგებს დასტოვებენ საპატიო მიზეზებისათვის, რომლიც დადასტურება უნდა მოხდეს საარბიტრაჟო კომისიის მიერ, რომელშიაც შევლენ ორორი წარმომადგენელნი. ასეთ საპატიო მიზეზათ ითვლება: მობილიზაცია, დიდი ხნის ავათმყოფობა, მუშის ოჯახობით ქალაქიდან სამუდამოთ გასვლა და სხვ. დროებით მუშებათ ითვლებიან ის მუშები, რომლებიც დაიჭერენ დასასვენებლად წასულ და ავათმყოფ მუშების ადგილებს ერთ თვემდე.

შრომის ბირჟის რეორგანიზაცია.

პროფ. კავშირთა საბჭომ დაადგინა საკითხი ქალაქის შრომის ბირჟის რეორგანიზაციის შესახებ, სირთულის გამო გადაეცეს პრ. კავ. რეფერენდუმს და მათგან ცნობების მიღების შემდეგ ხელახლად გაარკვიოს იგი.

ქარხნების დაწვის გამო

თუთუნის ქარხნებში მომუშავეთა პროფ. კავშირის გამგეობამ დაუკავშირა ყველა ქარხნების კომიტეტებს შემდეგი დადგენილება: უკანასკნელ ხანებში თუთუნის ქარხნებში ხშირია შემთხვევა ცეცხლის გაჩენისა, ეჭვს გარეშეა აქ მუშაობს ორგანიზაციულად შეკავშირებული მტრების ხელი. ამისათვის გამგეობა საჭიროთ სცნობს ასეთი მოვლენების ასაცდენათ წინადადება მიეცეს მექარხნეთა საზოგადოებას, რათა შეთანხმებით გამომუშავებულ იქნას ქარხნების დაცვის გეგმა და გატარდეს დაუყონებლივ ცხოვრებაში. აგრეთვე გამგეობა საჭიროთ სთვლის მექარხნეთა კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად მოხდეს გამოძიება ცეცხლის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევად.

რკინის გზაზე

30 დეკემბერს ტფილისიდან ბათუმს გაემგზავრა უმაღლესი კომისარი გენ. ო. უორდროპი.

—

ეკსპლოატაციის უფროსის განკარგულებით ხაშურამდე დანიშნულია ორი დამატებითი მატარებლები:

მატარ. № 3, 1 იანვრიდან გავა ტფილისიდან დილის 10 ს. 48 წ., გორიდან დღის 1 ს. 35 წ., ხაშურში მივა დღის 3 საათ.

ხაშურიდან მატ. № 4 გამოვა დღის 4 ს. 19 წ., ტფილისში მოვა საღამოს 8 საათ.

—

ამერიკელ კომისარის განკარგულებით უმუშევართათვის ნახევარი გირვ. პურის მიცემა უფასოთ 1 იანვრიდან შეწყვეტილია. მიეცემათ მხოლოდ ლტოლვილ სომხებს.

ისტორიული ფერილეტონი

ჯენერალი ლევოვი და მისი ცდა მეფე ერეკლეს მხედრობის მოსასპობათ.

ეკატერინე დედოფლის დავალება გენერალ ტოტლებენმა ოსტატურათ ვერ შეასრულა. ამ გენერალმა საქმე ისე დააყენა, რომ მეფე ერეკლემ მათს ეშმაკურ ოსტატობას ალლო აუღო. ბუნდოვანათ მაინც მიხვდა მათს მანქანებას, თუმცა იმასაც იტყოდა ხოლმე, რომ ნუ თუ ქრისტიანი კეისარი ჩემს დალუპვას იკადრებსო.

ამიტომ, ეკატერინე ახლა სხვა ეშმაკურ გზას დაადგა, მან მოძებნა თავის მისანდო გენერალი ივანე ლავრენტის ძე ლევოვი, ჩააგონა მას თავის წადილი და მცირე ხნის შემდეგ, ეს გენერალი გამოგზავნა მეფე ერეკლეს კარზედ კომისრათ და მინისტრათ.

გენერალი ლევოვი ტოტლებენზედ გაცილებით უფრო მოხერხებული იყო, რაც ტოტლებენმა ვერ მოახერხა და ვერ მოატყუალა მეფე ერეკლე, ის ამას უნდა მოეხერხებინა, რადგანაც გენერალ ლევოვს დარიგება ეკატერინეს გარდა, ქართველ თავადის შვილმა დიმიტრი ციციშვილმაც მისცა.

დიმიტრი ციციშვილი ვახტანგ VI-ის [illegible] გადაჰყვა რუსეთში, იქ დასახლდა, რუსული ენა ისე შეისწავლა, რომ ბოლოს ქართულ ენაზე რუსულ წიგნებსაც დაუწყო თარგმნა, შემდეგ დროს, ანუ ელისაბედ იმპერატრიცას კარზედაც დადიოდა თავისუფლათ და უკანასკნელ დროს, იგი გახდა საქართველოს მოღალატე და ტოტლებენის შემდეგ, ამ ბოროტმა ქართველმა მისცა ეკატერინეს დარიგება ასე:

ვიდრე მეფე ერეკლეს და სოლომონ იმერთა მეფეს მხედრობა ეყოლებათ, მინამ საქართველოს თქვენ ხელში ვერ ჩაიგდებთ, თქვენ უნდა ეცადოთ, რომ მეფე ერეკლეს მხედრობა მოუსპოთ და მის შემდეგ საქართველოც თქვენი იქნება. ერეკლეს დამორჩილებას იმერეთის მეფის დამორჩილებაც თავის ნებით მოჰყვებაო.

ეს დარიგება დიმიტრი ციციშვილმა გენერალ ლევოვსაც აუწყა და რაც კი შეეძლო ამ ბოროტს ყოველივე ქნა და მოახერხა და ეკატერინე და ლევოვიც ისე დარაზმა, რომ ამით შიში და ფიქრი აღარ ჰქონდათ მისი, რომ ერეკლე მეფე გენერალ ლევოვის კბილებს გადარჩებოდა, საქართველო ვერ ჩაეგდოთ რუსებს ხელში.

დიმიტრი ციციშვილი ქართველთ წინააღმდეგ და საქართველოს დასაღუპათ რუსეთში კარგა ხანს მოქმედებდა, თავის ქვეყნის ღალატით და ჯაშუშობით, რომანოვების გვარის წევრთ დიდათ და კარგათ ემსახურა და ეს ყოველივე ბოროტება მისგან ისე ხდებოდა, რასაც ქართველები სულ ვერ ამჩნევდნენ და ატყობდნენ. მას ისე ოსტატურათ ეჭირა თავი, რომ მისი გაგება შეუძლებელი გახლდათ.

ამისი ცხადი საბუთია ის გარემოებაც, რომ ამ მოღალატე პირს ანტონ კათალიკოზი „თავის ნათესავათ მოიხსენებს და მასთან აქებს დიდათ და მას უწოდებს ფილოსოფოსს, რიტორს, პოლიტიკს, გეომეტრს და ენათა ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენების მცოდნეს, აქებს და ამბობს, რომ დიმიტრის ღირსება ფრიად მაღალ არსო".

ისტორიკოსი პლ. იოსელიანი სწერს, რომ დიმიტრი ციციშვილი დაიბადა რუსეთშო, მამა მისი ვახტანგ მეფეს გადაჰყვა რუსეთში 1724 წ. ისე რომ ეს დიმიტრი რუსეთში აღზრდილა ისე, როგორც რუსებს ენატრებოდათ, საკვირველი ის არის, რომ ამ პირს ქვეშმდრომობა ვერ შეუტყო ისეთმა პირმა, როგორიც იყო ანტონ კათალიკოზი.

ის კათალიკოზი, რომელიც 1751 წ. თეიმურაზ მეფემ ანტონ კათალიკოზი ელისაბედ იმპერატრიცას დავალებით და თვით ამ დიმიტრი ციციშვილის ჩაგონებით, გადასვლისათვის ცხენში ჩასვა, სადაც კათალიკოზმა 18 თვეს დაჰყო პატიმრობაში. ბოლოს კათალიკოზი გაანთავისუფლეს და რუსეთში გააძევეს ელისაბედის წინაშე თავის გასამართლებლათ, ყველაფერი ეს კი მოხდა დიმიტრის ჩაგონებით და ქართველის ჭერის ღალატით და ავკაცობით.

ასეთმა ბოროტმა პირმა დარაზმა გენერალი ლევოვი და ისე მომზადებული გამოგზავნეს მეფე ერეკლეს კარზე, საქართველოს დასაღუპათ.

როგორც იქნა, გენერალ ლევომ მოაღწია ტფილისში და ერთ დღეს წარუდგა მეფე ერეკლეს, მეფეს გადასცა ეკატერინესაგან გამოგზავნილი საჩუქრები, პირად მოკითხვა, სალამი და ბევრიც კიდევ სხვა დაპირებანი.

მეფე ერეკლე გენერალმა ლევომ ისე მოხიბლა, ისე მოაწყო საქმე, რომ მეფეს გულიდან გადაჰყარა ყველა ეჭვები და თვით ტოტლებენის ღალატიც დავიწყა. გენერალი ლევოვი მალე დარწმუნდა იმაში, რომ მეფე ერეკლეს გულიდან გადავყარე რუსეთის შესახებ ყველა ეჭვები და შიშიო, ამიტომაც ეს ბოროტი ეხლა მიეცა თავის გეგმის განხორციელებას. ერთ დღეს წარუდგა მეფე ერეკლეს და მოახსენა შემდეგი:

„ვინაიდან თქვენსა და გრაფ ტოტლებენს შორის შფოთი რაიმე არს შთავარდნილი, თუ ოსმალთ არ აეშლებით და ერთ რამე სამსახურს არ დაანახვებთ ეკატერინე იმპერატრიცას, შენ უსათუოდ გრაფი შეგასმენს და ეს არ ევარგება შენთვის". მეფე ერეკლე ერწმუნა გენერალს, მის სიტყვებს ალლო სულ ვერ აუღო. ლევოვის ფიქრი იყო, ერეკლეს ოსმალეთზე ავშლი, ამ დროს ამას ომში გაუჭირდება, მე შველას მთხოვს, მაგრამ მე არ ვუშველი, ვეტყვი საქართველო შეუერთე რუსეთს და მეც მაშინ გიშველიო.

მართლაც მოხდა ეს, მეფე აუშალა ოსმალეთს, აწყურთან ომიც მოხდა, ლევომ ომში ჩარევა აღარ ინდომა, ერეკლე მეფემ ომში მონაწილეობის მიღება დაავალა. გენერალმა უარი უთხრა. მეფე ერეკლე მარტო შეება

ოსმალთ და ეს ომი ისეთი ძლიერი იყო, რომ თვით მეფე ერეკლეს მოჰკლა ამ ომში ლეკების კოხტა ბელადი, რომლის მოკვლამაც დაამარცხა ოსმალოს ჯარი.

გენერალი ლვოვი სირცხვილისაგან ავსილი რუსის ჯარით უკან დადგა და დაკმაყოფილდა მით, რომ მართალია საქართველო ვერ უშველნე ეკატერინეს, მაგრამ მის მიერ მეფე ერეკლეს ოსმალთ ომში მხედრობა მაინც გაუწყვიტეო.

ამ გვარად, ეს ბოროტი გენერალი მეფე ერეკლეს ვეღარ ეჩვენა. ქართლიდან იმერეთში გაიპარა სოლომონ მეფეს კარზე. აქ დაიწყო მოქმედება და ერეკლე მეფის წინაშე ჩადენილ თვის ბოროტების გაქარწყლება. აქაც რასაკვირველია, გენერალი ლვოვი მოქმედებ და ისე, როგორც ეს მას ჩანერგილი ჰქონდა დიმიტრი ციციშვილისაგან.

სამწუხაროდ, ამ გველმა ეს ჭკვიანი სოლომონ მეფეც აიყოლია და მოხიბლა მით, რომ თქვენს სამეფოდან ოსმალთა ჯარს მე სულ გავრეკავ რუსის ჯარითაო, ამისთვის გამომგზავნა თქვენს წინაშე ეკატერინე იმპერატრიცამაო. მეფეც დაეთანხმა ლვოვის ბოროტ რჩევას.

ამ დროს, ვილაცა პირებმა გაანდვეს გენ. ლვოვს, რომ ოსმალოს ჯარი ვითომც ბაგრატის ტაძარში იმალებაო. ამ ბოროტ გენერალს არც აცივა, არც აცხელა და მალე მიუსია ამ ისტორიულ ნაშთს და გარედან შემოაკრა რუსის ჯარი და ეროდა ოსმალთა გამოსვლას, მაგრამ ეკლესიიდან არავინ გამოდიოდა.

ერთ დღეს, ლვოვმა ამ დაზიანებულ ძველს დიდებულს ნაშთს ზარბაზნების სროლაც დაუწყო და მთელი ეს ძველი დიდებული განძი შეირყა და დაიქცა, მაგრამ ეკლესიიდან არავინ გამოვიდა, ვინაიდან შიგ არავინ იყო ცალიერი გახლდათ თურმე. ასე და ამგვარად დაიქცა და მოისპო ეს დიდებული ნაშთი.

ამის შეიდეგ, ლვოვი დატრიალდა გველურად და სოლომონ მეფეს აუწყა, რომ თქვენ და მეფე ერეკლე ეკატერინეს დიდი ერთგულები ყოფილხართ, გრაფმა ტოტლობენმა უბრალოდ დაგასმინათ ეკატერინესთან თქვენაო. თქვენს ერთგულებას მე ეხლავე მივსწერ ეკატერინეს და პირადათაც უამბობ თქვენს ერთგულებასაო. ეს ამბავი თქვენ მეფე ერეკლესაც აცნობეთო. ასეთის დაპირებით დაამშვიდა სოლომონ მეფე და ერეკლე მეფეც ამის შემდეგ ეს სვავიც რუსეთისკენ გზას გაუდგა.

ზ. ჭ.

სხვა და სხვა

დღეს, დილის 10 საათზე, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში დანიშნულია სახალხო მასწავლებელთა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტის კრება. სთხოვენ წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

◆ რედაქციამ მიიღო საუმაწვილო ჟურნ. „ჯეჯილის“ მორიგი ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია მრავალი საბავშო შინაარსის მოთხრობები და სურათები. 11 იანვარს გაიმართება სახაზინო თეატრში ხსენებული ჟურნალის დილა. გამოვა აგრეთვე „ჯეჯილის“ საიუბილეიო ნომერი.

◆ მარნის საზ. (სენაკის მაზრა) გამგეობა გვთხოვს გამოაცხადოთ, რომ 29-დეკემბერს საჭილაოს ბაქანზე მატარებელს ჩამოყვა უცნობი 8 წლის ვაჟი, რომელიც თვის გვარათ ასახელებს „ხარიძეს“, მამის სახელი არ იცის, უნდა იყოს გორის მაზრიდან, ძეგვის ხიდის ახლოს მდებარე სოფლიდან. ბავში გამგეობამ ჩააბარა ეროობის ადმინისტრატორს. ბავშის ჰატრონმა უნდა მიმართოს მარნის ეროობის გამგეობას.

◆ საქართველოს პრესბიუროს ატყობინებენ სოხუმიდან, რომ „31 დეკემბერს უცაბედათ თავი დაიჭრა აფხაზეთის კომისარმა ლორთქიფანიძემ. ტყვია მკერდში მოხვდა და ზურგში გაიარა. მისი მდგომარეობაა საშიშო არ არის“.

◆ ახლო მომავალში ამიერ-კავკასიაში ჩამოვლენ იაპონელი კომერსანტები, რომელნიც ამერიკელების დახმარებით გაეცნობიან აქაურ ბაზარს.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს მორიგი ნომერი, რომელშიც მოთავსებულია სურათები უორდროპის სტუმრობა საგურამოში 25 წლის წინად, ნოე ჟორდანია და კარლო ჩხეიძე და სხვა. ჟურნალი ამ წლიდან გამოვა ყოველ კვირეულად, უფრო დიდი ფორმატით.

◆ სახალხო სახლში დღეს საღამოს ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „მელანიას რინები“ კომ. 4 მოქმ. ჰაუპტმანისა გადმოკეთებული კ. მეხის-მიერ. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბანცხადებანი

ივანე ვაგარშაკის ძე მუკაელიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ამამლინის სოფლის სამართველოდან, ალექსანდრ. მაზრა. 484 3—1

კონსტანტინე იაგორის ძე ცოვიანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიწის კუთვნილებისა. მამული მდებარეობს „ვაკეში“, ტფილისის მაზრა და აღნიშ. ტფილ. ოლქის სასამ. აღმასრ. ფურცელში 1904 წ. 1 დეკემ. რეესტრი № 338. 486 3—1

კონდრატ დავითის ძე სტეფაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსისაგან, მოწმობა მიღებული ბუგეულის საზოგადოების კომისრისგან. საბუთები გაუქმებულად ჩაითვლება. 494 3—1

ეფიმე ისაკოვის ძე კოკიელოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, № 3000, აღებული ყოფილ ტფილ. პოლიციმეისტერის კანცელარიიდან 1913 წ. მაისის 17. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 500 3—1

ანისი სერგის ასული ფარინა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, პროფესიონალურ კავშირიდან აღებული წიგნაკი, მრეცხველის მოწმობა და ასი მანეთის კვიტანცია. აღნიშნული მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 1 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ ბანდარენკომ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი პავლე ბანდარენკო, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1906 წ. 25 აგვისტოს, უკვალოდ დაიკარგა 1917 წ. 7 აპრილიდან, ყველა, ვინც იცის დაკარგული პავლე ბანდარენკოს მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონის ძალით ვალდებულია განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 847 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ დიმიტრის ასულმა ჭილაურიშვილისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ალექსანდრე ილიას ძე ჭილაურიშვილი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1915 წ., უკვალოდ დაიკარგა იმავე 1915 წელს, რის გამო აღნიშნული მარიამ დიმიტრის ასული ჭილაურიშვილისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის, დაკარგულ ალექსანდრე ილიას ძე ჭილაურიშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 4 1—1

პართენ ნიკოლოზის ძე სამარლანაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე ფულით, პასპორტი, ავლაბრის რაიონში აღებული, პარტიული წიგნაკი და სანხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს: 2 3—1

ნიკოლოზ სოლომონის ძე ტარალაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და ტყვეობის ბილეთი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3 3—1

ილია ქრისტესიას ძე ტლაშაძე უცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან და მოწმობა მიღებული კახეთის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს უფროსისგან საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 424 3—1

შალონ შაბათის ძე გურიელაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა საზღვარ გარეთ გასასვლელი პასპორტი მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან № 1291. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 485 3—1

ტროფიმე ნიკოლოზის ძე ბოცვაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის მაზრის გამოჩინებულის საზოგადოების კანცელარიიდან აღებული პასპორტი და მეტრიკული მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 498 3—1

ალექსანდრე ალექსის ძე რეზვიაკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 4589 აღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 12 3—1

გერასიმე ალექსის ძე ვაშაკიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიციმეისტერის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს 3—2 501

სპარსეთის ქვეშემრდომი იერემია ნატან-ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქ. ტფილისში სპარსეთის კონსულისგან 4/II 1917 წ. № 178. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 473 3—2

მაკარი პავლეს ძე ნოვიცკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 11622 და სანხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, აღებული 1917 წ. დეკემბრის 22, პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 464 3—3

სარდიონ გეორგის ძე ბერაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე ფულით, 1150 მ., ორი ოქროს ბეჭედი თვლიანი, თავდებობის კვიტანცია 5000 მანეთის და პასპორტი აღებული ქუთ. გუბ. რაჭის მაზრის. სოფ. პატარაონის საზოგადოებიდან. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს პატრონს მხოლოდ პასპორტი და კვიტანცია შემდეგი მისამართით: მალაკანის ქუჩა № 56, ს. ბერაძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 483 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ყეზრა დანიელის ძე ენუქაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს მისი მამის დანიელ ენუქაშვილის მიერ დატოვებული ვექსილის ბლანკები შემდეგი პირებისაგან ხელმოწერილნი: აარონ იოსების ძე მიხელაშვილისაგან 4000 მანეთისა და იასონ კვაპარავასაგან 13000 მანეთისა და ამა უკანასკნელისაგან ერთი ვექსილი 2000 მან., რომელიც დამოწმებულია ნოტარიუსიდან, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული ვექსილებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 328 3—1

მიხეილ არტემის ძე ნარსესოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმტკიცის მოწმობა აღნიშნული ტფილისის ნოტარიულურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მაისის 30, 1885 წ. № 595. სიმტკიცის მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 461 3—1

სიმონ მიხეილის ძე დოლაბერიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული თელავის ქალაქის გამგეობიდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 10 3—1

ივანე ივანეს ძე მაისურაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმტკიცის მოწმობა, აღნიშნული ტფილისის ნოტარიალურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნაწ. 54/3 № 354, მიღებული რეესტრით 1891 წ. იანვრის 7, № 8. 481 1—1

დაკარგულია პასპორტი № 3438, აღებული თამარა ალახვერდოვის მიერ ყოფილ ერევნის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 505 3—1

გეურქ მატინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 339 3—1

ივანე დავითის ძე სახუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 4148 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, აღებული ქუთაისის სამხედრო ბეგრის უფროსის კანცელარიიდან. მოწმობა და პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 499 3—2

ფარსეხ გიორგის ძე გალუსტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, აღებული ქალ. ალექსანდროპოლში, მეტრიკული მოწმობა და ქარხნის „შვიდი მნათობის“, მუშების კავშირიდან აღებული მოწმობა. მოწმობები გაუქმებულად ჩაითვლება. 482 3—2

ივანე მაქსიმეს ძე ჩეკურიშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ტფილისის სინოდის კანტორიდან და თელავის სასულიერო სასწავლ. 4 კლასის დამთავრების მოწმობა. საბუთები გაუქმებულად ჩაითვლება. 477 3—3

საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამართველო ამით აცხადებს, რომ საგირავნო კვიტანციები, რომელნიც იყვნენ მიცემული აღნიშნულ სამართველოდან სავაჭრო სახლისა სესიაშვილზე, № 6789 და 6790 თითო 10 ათასი მანეთიანი სულ 20,000 მანეთის, სესიაშვილმა დაჰკარგა და გაუქმებულად ითვლება. 468 3—3

ვერა ანდრიას ასული სტეფანოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული 1908 წელს ბაქოს ქალაქის უფროსისგან, დიპლომი მიღებული ხარკოვის უნივერსიტეტიდან 1915 წ., ორი მოწმობა მიღებული ქალაქთა კავშირიდან და „პროპუსკი“ მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციიდან. 478 3—3

ნოე ყარამანის ძე ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობა, რომელიც ქონდა მას მიცემული ერისტო კობზინაძისაგან. მპოვნელს სთხოვენ წარმოადგინოს ხონის მილიციის სამართველოში წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ჩაითვლება. 381 1—1

ქეთევან გიორგის ასული მელიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის ექვსი კლასის გათავების სოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვლება. 13 3—1

ტფილისის ოლქ. სასამ. აცხადებს, რომ გიორგი და ივანე ალექსანდრეს ძენი ალავერდოვები, ოლლა იგივე აკსანა ბაშნიაკოვიჩი, ეოზეთ იგივე პიერ და ევგენი რები, რომელთა საცხოვრებელი ადგილი სასამართლომ არ იცის ვალდებული არიან ანნა თუმანიშვილის განცხადების გამო, რომელიც თხოულობს მოწმობას უფროს ნოტარიუსიდან მეორე გირაოს დუბლიკატების მისაღებათ, ოთხი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“, განაცხადონ თავისი საცხოვრებელი ბინა ქ. ტფილისში ან ან მიუთითონ ისეთ პირზე, რომელიც მათ მაგიერ მიიღებს სასამართლოდან მოსულ ქაღალდებს. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილია თხოვნის 4 პირი. 1324 1—1

კვირას. 4 იანვარს დილის 10 ს.

სახელოსნო კლუბში

პლეხანოვის პრ. დანიშნულია ტფილისის დროგისტთა საზოგადო კრების გაგრძელება. საგანი კრებისა: დამატებითი არჩევნები ტფილისის დროგისტთა კავშარის წევრებისა, მათი კანდიდატების და სარევიზიო კომისიის წევრებისა. **საორგანიზაციო კომისია**

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 30 დეკემბერს 1919 წ. ზედამხედველი კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებულმა კრებამ ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრების უფლებით აღჭურვილმა დაადგინა: სარგებელი, რომელსაც იღებენ მსესხებლები, სესხის რაოდენობისდაკვალად შესადგენად სათადარიგო და ეკსტრაორდინალურ თანხებისა და ბანკის გამგეობაზე გაწეულ ხარჯების დასაფარავად მიყვანილ იქმნას 1½% ნახევარ წელიწადში 1919 წლის 31 დეკემბრიდან. 2 1—1

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირმა მოაწყო ავტომობილით მიმოსვლა ტფილისსა და დუშეთის შუა. სამგზავრო ექვს ადგილიანი ავტომობილი მიდის ტფილისიდან ყოველ დღე ქალაქთა კავშირის სამექან. სახელოსნოდან, ოლლას ქ., № 29 დღის 2-ნახევარ საათ., დუშეთიდან დილით 7½ ს. ყოველ დღე. ტფილისიდან დუშეთამდე ბილეთი ღირს 250 მან. ტფილისი—მცხეთა 150 მ., დუშეთი-მცხეთა—200 მ. მხოლოდ გაჯყიდველათ დარჩენილ ადგილებზე. 293 5—4